ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14241146**

თარიღი:**23/04/2024**

ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-სა.

ბ) „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-სა.

გ) სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში გასაცემ საკურორტო მომსახურების ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

3. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ფარგლებში მომსახურების გამწევთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1

დამტკიცებულია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის ____ აპრილის
№_____ ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის პირთა 30 წლის ჩათვლით, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების 12 დღიანი (11 ღამე) საკურორტო მომსახურება 600 ლარის ფარგლებში.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია საკურორტო მომსახურება. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სანატორიუმი ან სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან აპარტამენტი. ზემოაღნიშნულს უნდა დაერთოს სასტუმროს ან სანატორიუმის ეზოს, ოთახების, სასადილო ოთახის, აბაზანის ფოტოები. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება ან კვებასთან დაკავშირებიოთ უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება ქვეკონტრაკტორთან. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2024 წლის 15 ივნისიდან 2024 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან 2024 წლის 1 იანვრამდე ქ. ბათუმში რეგიტრირებული შშმ პირები და ომის ვეტერანები (ასაკით პენსიონრები, ომში და ომის მერე დაინვალიდებულები), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, შშმ სტატუსის პირები (30 წლის ჩათვლით), მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახები.

5, ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ლუკა ასათიანის ქ. №25.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტოსურათების, ნახაზების და ა. შ. თანდართვით);

შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ადაპტირებული გარემო საჭიროების შემთხვევაში.

შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

.

შესაბამისი დოკუმენტაცია შესაძლებელია გაიგზავნოს ელ.ფოსტაზე: info@batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.

დანართი 2

დამტკიცებულია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის ____ აპრილის
№_____ ბრძანებით

„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ომის ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა;
- 0-70 000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიანი (18 წლამდე) ოჯახები გადამოწმდებიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში არსებულ მრავალშვიულიანი ოჯახების ბაზაში, ხოლო 100 000 ქულის ჩათვლით მრავალშვილიანი ოჯახების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას: მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, ბავშვების (18 წლამდე) დაბადების მოწმობები და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ქულათა ამონაწერი.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი. ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით, 12 დღე (11 ღამე) - 600 ლარი. შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა და შშმ სტატუსის პირთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომელიც ასევე დაფინანსდება 12 დღე (11 ღამე) - 600 ლარით.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგის-ტრირებული არიან 2024 წლის 1 იანვრამდე ქ. ბათუმში.

პროექტი

ხელშეკრულება

ქ. ბათუმი „.....“ ..... 2024 წ.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (ტექსტში შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლელა სურმანიძის სახით, მოქმედი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ____აპრილის № _____ბრძანების საფუძველზე, და მეორესმხრივ ___ _____ (პ/ნ _____, ტექსტში შემდგომში - „მოსახურების გამწევი“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

1. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა „ჯანმრთელობის დაცვა”, ქვეპროგრამა „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დამკვეთსა და მომსახურების გამწევს შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მოწესრიგება.

2.2. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გამწევი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირებისთვის (ბენეფიციარი) ვაუჩერის საფუძველზე საკურორტო მომსახურების გაწევას, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. ძირითადი დებულებები

3.1. მომსახურების გამწევი კისრულობს ვალდებულებას გასწიოს შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და ომის ვეტერანთა (ასაკით პენსიონრები, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებულები), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის პირთა 30 წლის ჩათვლით, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარების 12 დღიანი (11 ღამე) საკურორტო მომსახურება.

3.2. მომსახურების გამწევი საკურორტო მომსახურებას ახორციელებს იმ პირებისათვის, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს.

3.3. მომსახურების გამწევი კისრულობას ვალდებულებას, რომ მომსახურების გაწევის განმავლობაში საკუთრებაში ექნება სანატორიუმი, სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან ქვეკონტრაქტორთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ხოლო ეტლით მოსარგებლე პირებისათვის მომსახურების გამწევს უნდა გააჩნდეს აგრეთვე ადაპტირებული გარემო. ამასთან, მომსახურების გაწევა მოიცავს სამჯერად სრულფასოვან კვებას.

3.4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ (შემდგომში „ქვეპროგრამა“)

ფარგლებში, მომსახურების გამწევი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობებით ახორციელებს მომსახურებას.

4. მომსახურების გაწევის ვადა და საფასური.

ხელშეკრულების მოქმედება

4.1. მომსახურების გამწევი ვალდებულია, ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2024 წლის 15 ივნისიდან 2024 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

4.2. ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით 12 დღე (11 ღამე) - **600** ლარი.

4.3. შშმ სტატუსის პირთა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომელიც ასევე დაფინანსდება - 12 დღე (11 ღამე) - **600** ლარით .

4.4. საფასურის ანაზღაურება განხორციელდება 4.2.-4.3. პუნქტებით დადგენილი წესით.

4.5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. დამკვეთს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მომსახურების გამწევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი მომსახურების გამწევის წინასწარ ინფორმირების შემდგომ და მოახდინოს ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწევის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირება.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას და მიღება- ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს დამოუკიდებელი უფლებამოსილების მქონე პირები: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი გულნაზ ბოლქვაძე-ხარაზი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლელა ალექსანდროვა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ ფეტიძე.

5.3. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ დამკვეთის და მომსახურების გამწევის უფლებამოსილი პირები.

6. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის დამკვეთს მომსახურების შესრულებიდან არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა უნდა წარედგინოს ანგარიშფაქტურა/ინვოისი, იმ პირთა სია ხელმოწერილი, რომლებსაც ჩაუტარდათ მომსახურება.

6.3. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომსახურების გამწევს.

6.4. გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს ინვოისის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მომსახურების გამწევი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მომსახურების გამწევის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში დამკვეთი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება.

7.3. ანგარიშსწორება მომსახურების გამწევთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, მომსახურების გამწევი ჯარიმის სახით იხდის შეუსრულებელი ვალდებულების (შეუსრულებელი ღონისძიების ღირებულების) 0,1 %-ს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში;

8.2. ხელშეკრულების მე-7 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი გადაცილებული დღისათვის ასანაზღაურებელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მომსახურების გამწევის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით (მომსახურების გამწევის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის განმავლობაში).

8.3. ქვეპროგრამით განსაზღვრული პირობის (პირობების) დარღვევის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების აქტით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ ხელმოწერით, მომსახურების გამწევი დამკვეთს უხდის პირგასამტეხლოს ქვეპროგრამით განხორციელებული ღონისძიების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომსახურების გამწევს ეკისრება პირგასამტეხლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2. პუნქტით დადგენილ ვადებში ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მომსახურების გამწევი დამკვეთს უხდის პირგასამტეხლოს თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოთხოვნილი თანხის 1-% ოდენობით.

8.6. მომსახურების გამწევი დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია აღუდგინოს ხელშეკრულების პირობების დარღვევით მოთხოვნილი თანხები.

8.7. ჯარიმა მომსახურების გამწევს არ ათავისუფლებს ქვეპროგრამის შესრულების ინსპექტირების დროს გამოვლენილი არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნილი თანხების მომსახურების გამწევისათვის ან/და ბენეფიციარისათვის დაბრუნებისაგან.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

9.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის

ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

9.3. მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისად ფაქტების დადასტურება.

9.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მომსახურების გამწევთან და დამკვეთთან.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

9.7. მომსახურების გამწევი ადასტურებს, რომ გაეცნო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ..... აპრილის №..... ბრძანებას, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

10. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„დამკვეთი“	„მომსახურების გამწევი“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.№25 ს/კ 245576826; ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა ბ/კ: TRESGE22 ანგ. №GE24NB0330100200165022 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე	_____ _____ _____ _____ _____ _____
_____ (ხელმოწერა, სახელი და გვარი)	_____ (ხელმოწერა, სახელი და გვარი)